



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

**სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული  
კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან მიმართებით**

**თავისუფალი არჩევნების უფლება**

2019 წლის 30 აპრილის მდგომარეობით



## სარჩევი

<b>I. ზოგადი პრინციპები .....</b>	<b>3</b>
ა. მნიშვნელობა და ფარგლები .....	3
ბ. განმარტებასთან დაკავშირებული პრინციპები .....	6
<b>II. აქტიური ასპექტი: ხმის მიცემის უფლება.....</b>	<b>8</b>
ა. სამოქალაქო უფლებების დაკარგვა.....	9
ბ. პატიმართა სპეციფიკური საქმეები.....	11
გ. საცხოვრებელი ადგილი, როგორც ხმის მიცემის უფლების განხორციელების პირობა .....	14
1. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების ხმის მიცემის უფლება .....	14
2. გარკვეული ტერიტორიების კონკრეტული შემთხვევები .....	16
3. არარეზიდენტი მოქალაქეებისათვის უცხო ქვეყანაში არჩევნების ორგანიზება..	17
<b>III. პასიური ასპექტი: არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება .....</b>	<b>18</b>
ა. არჩევნებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა და დემოკრატიული წესრიგი	20
ბ. ისტორიული კონტექსტის მნიშვნელობა.....	22
გ. არჩევნების მოწყობა .....	23
1. სერიოზული კანდიდატურების გარანტია: თანხის შეტანის მოთხოვნა .....	24
2. პოლიტიკური ლანდშაფტის გადაჭარბებული ფრაგმენტაციის/დანაწევრების თავიდან არიდება.....	25
<b>IV. არჩევნების შედეგების დამუშავება .....</b>	<b>29</b>
<b>V. საარჩევნო დავები .....</b>	<b>31</b>

## I. ზოგადი პრინციპები

### 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი - თავისუფალი არჩევნების უფლება

„მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის თავისუფალი ნება-სურვილის გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევაში.“

### საკვანძო სიტყვები „ჰუდოკ“ (HUDOC)

თავისუფალი არჩევნების უფლება (P1-3) - პერიოდული არჩევნები (P1-3) - არჩევნები ფარული კენჭისყრით (P1-3) - ხალხის ნება-სურვილის გამოხატვა (P1-3) - საკანონმდებლო ორგანოს არჩევა (P1-3) - ხმის მიცემა (P1-3) - არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა (P1-3)

### ა. მნიშვნელობა და ფარგლები

1. „კონვენციის პრეამბულის შესაბამისად, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საუკეთესო დაცვა ხორციელდება ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიით. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი განამტკიცებს დემოკრატიის დამახასიათებელ პრინციპებს, შესაბამისად იგი უაღრესად მნიშვნელოვანია კონვენციის სისტემაში“ (*Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, § 47).

2. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ეხება მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს არჩევას. თუმცა, აღნიშნული არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული პარლამენტით. განხილული უნდა იქნეს სადავო სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება (*Timke v. Germany*, კომისიის გადაწყვეტილება). ზოგადად რომ ვთქვათ, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ეხება ადგილობრივ არჩევნებს, იქნება ეს მუნიციპალური (*Xuereb v. Malta; Salleras Llinares v. Spain*) თუ რეგიონალური (*Malarde v. France*). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რეგულაციებისა და წესდების დადგენის უფლება, რომელიც მრავალ ქვეყანაში ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნია, უნდა განსხვავდებოდეს საკანონმდებლო ძალაუფლებისგან, რომელიც 1-ლი დამატებითი

ოქმის მე-3 მუხლშია მოცემული, თუმცა საკანონმდებლო ძალაუფლება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული პარლამენტით (*Mótko v. Poland* (განჩინება)).

3. სტრასბურგის სასამართლომ განსაზღვრა, თუ როგორ უნდა განიმარტოს ცნება „არჩევნები“, შესაბამისად დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ფარგლები (*Cumhuriyet Halk Partisi v. Turkey* (განჩინება), §§ 33-34 და 37-38).

4. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ რეფერენდუმის პრინციპი არ ექცევა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ფარგლებში (იქვე, §§ 33 და 38; *Moochan and Gillon v. the United Kingdom* (განჩინება), § 40;). თუმცა, სასამართლო ითვალისწინებს საარჩევნო სისტემების მრავალფეროვნებას სხვადასხვა სახელმწიფოში. შესაბამისად, სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ დემოკრატიული პროცესი, რომელსაც სახელმწიფოები რეფერენდუმს უწოდებენ, პოტენციურად შესაძლებელია, რომ მოექცეს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ფარგლებში. ამისათვის, პროცესი უნდა ჩატარდეს „გონივრული პერიოდულობით და ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის თავისუფალი ნება-სურვილის გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას“ (იქვე, §42).

5. სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი საარჩევნო გამოკითხვის შედეგების მიღება შეუძლებელია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, რაც ამომრჩეველზე არ ახდენს გავლენას გონივრულად და „პირდაპირ“ განაცხადონ, რომ დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი და ისინი არიან „მსხვერპლები“ კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით (*Dimitras and Others v. Greece* (განჩინება), §§ 30-32).

6. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, სტრასბურგის სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებები არ შეიძლება განიმარტოს როგორც „საკანონმდებლო ორგანოს“ ფორმა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მნიშვნელობით. ამასთან, ეს არ გამორიცხავს, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას საპრეზიდენტო არჩევნების დროს. დადგენილი რომ იყოს, რომ სადავო სახელმწიფოს მეთაურის სამსახურს ჰქონდა კანონმდებლობის ინიცირების და მიღების უფლებამოსილება ან სარგებლობდა ფართო უფლებამოსილებით, რომ ეკონტროლებინა კანონმდებლობის დამტკიცება ან უფლება რომ ცენზურა დაადოს ძირითადი კანონმდებლობის დამდგენ ხელისუფლებას, მაშინ იგი სავარაუდოდ ჩაითვლება როგორც „საკანონმდებლო ორგანო“ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად (*Boškoski v. the former Yugoslav Republic of Macedonia* (განჩინება); *Brito Da Silva Guerra and Sousa Magno v. Portugal* (განჩინება)). თუმცა, ეს შესაძლებლობა არასდროს გამოყენებულა და ნახსენებიც არ ყოფილა შემდგომ საქმეებში (*Paksas v. Lithuania* [დიდი პალატა]; *Anchugov and Gladkov v. Russia*, §§ 55-56).

7. რიგ შემთხვევებში, სტრასბურგის სასამართლომ მოსაზრება გამოთქვა, რომ ევროპარლამენტი წარმოადგენს „საკანონმდებლო ორგანოს“ ნაწილს 1-ლი

დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად (*Matthews v. the United Kingdom* [დიდი პალატა], §§ 45-54; *Occhetto v. Italy* (განჩინება), § 42).

8. რაც შეეხება არჩევნების ფაქტობრივ მახასიათებლებს, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ტექსტში ვკითხულობთ მხოლოდ იმას, რომ ის უნდა იყოს თავისუფალი და ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია („კომისია) და სტრასბურგის სასამართლო მუდმივად იმეორებენ (*X. v. the United Kingdom*, კომისიის გადაწყვეტილება 6 ოქტომბერი 1976). აღნიშნული დებულება ნათელყოფს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს გონივრული პერიოდულობით. ამგვარ საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოებს გააჩნიათ თავისუფალი შეფასების ფარგლები. მიუხედავად ამისა, პრეცედენტული სამართალი შემდეგ მითითებებს აკეთებს:

„კომისია მიიჩნევს, რომ ის საკითხი- ჩატარდა თუ არა არჩევნები გონივრული ინტერვალით, უნდა დადგინდეს საპარლამენტო არჩევნების მიზნის გათვალისწინებით. აღნიშნულ მიზანს წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ ძირეულად შეცვლილი გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი, აისახება ხალხის წარმომადგენელთა შეხედულებებზე. პრინციპში, პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს და ადასრულოს მისი როგორც საკანონმდებლო ორგანოს მიზნები - მათ შორის, გრძელვადიანი საკანონმდებლო გეგმები. არჩევნებს შორის პატარა ინტერვალებმა შეიძლება ხელი შეუშალოს ამომრჩეველთა ნების იმპლემენტაციის პოლიტიკურ დაგეგმვას; ზედმეტად გრძელმა ინტერვალმა შეიძლება გამოიწვიოს პარლამენტში პოლიტიკური დაჯგუფებების უძრაობა, რომლებიც შეიძლება აღარ ასახავდნენ ამომრჩეველთა ნებას.“ (*Timke v. Germany*, კომისიის გადაწყვეტილება)

9. პრეცედენტულმა სამართალმა განავითარა უნივერსალური საარჩევნო უფლების მოთხოვნა, რომელიც ახლა საწყის პრინციპს წარმოადგენს (*X. v. Germany*, კომისიის გადაწყვეტილება; *Hirst v. the United Kingdom* (no. 2) [დიდი პალატა], §§ 59 და 62; *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, § 51). ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია საარჩევნო უფლების განხორციელებისას, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა ხმას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თანაბარი წონა არჩევნების შედეგებზე. ამრიგად, ვერცერთი საარჩევნო სისტემა ვერ შეძლებს აღმოფხვრას „დაკარგული ხმები“ (იქვე, § 54; *Partija "Jaunie Demokrāti" and Partija "Mūsu Zeme" v. Latvia* (განჩინება)).

10. მიუხედავად ამისა, თითოეული ამომრჩევლის ხმას უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხმის მიცემის უფლება, საარჩევნო პროცესი და ბოლოს, თავად დემოკრატიული წესრიგი აზრს მოკლებული იქნებოდა (*Riza and Others v. Bulgaria*, § 148). ამრიგად, კენჭისყრის ორგანიზებისას სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით. და ბოლოს, საარჩევნო სისტემის არჩევა, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას დაცული იქნება პირთა აზრის გამოხატვის თავისუფლება - მიუხედავად იმისა, ეფუძნება ის პროპორციულ წამომადგენლობას,

მაჟორიტარულ სისტემას თუ სხვა რაიმე შეთანხმებას - არის საკითხი, რომლის განსაზღვრის დროსაც სახელმწიფო სარგებლობს თავისუფალი შეფასების ფარგლებით (*Matthews v. the United Kingdom* [დიდი პალატა], § 64).

## **ბ. განმარტებასთან დაკავშირებული პრინციპები**

11. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი განსხვავდება კონვენციის სხვა არსებითი დებულებებისგან და დამატებითი ოქმებისგან, რადგან იგი ფორმულირებულია მაღალი ხელშემკვრელი მხარის ვალდებულების შესაბამისად - რომ ჩატარდეს არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს პირთა აზრის გამოხატვის თავისუფლებას და არა რაიმე კონკრეტულ უფლებას ან თავისუფლებას. თუმცა, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად მოსაშზადებელი სამუშაოების და კონვენციის ქრილში აღნიშნული მუხლის განმარტების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ეს დებულება ასევე მოიცავს ინდივიდუალურ უფლებებს, რომლებიც მოიცავს ხმის მიცემის („აქტიური“ ასპექტი) და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას („პასიური“ ასპექტი) (*Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, §§ 48-51; *Ždanoka v. Latvia* [დიდი პალატა], § 102).

12. სადავო უფლებები არ არის აბსოლუტური. არსებობს „ნაგულისხმევი შეზღუდვები“ და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ამ კუთხით უნდა მიეცეთ თავისუფალი შეფასების ფარგლები. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მნიშვნელობით „ნაგულისხმევი შეზღუდვების“ კონცეფციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებით გარანტირებული უფლებების შეზღუდვებით მიღწეული მიზნების შესაბამისობის დასადგენად; იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ „კანონიერი მიზნების“ კონკრეტული ჩამონათვალით, მაგალითად როგორც ვხვდებით მე-8 და მე-11 მუხლებში, შესაბამისად, შეზღუდვის გამართლებისთვის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიათ დაეყრდნონ იმ მიზანს, რომელიც ამ ჩამონათვალში არ შედის, იმ პირობით, რომ ამ მიზნის თავსებადობა კანონის უზენაესობის პრინციპთან და კონვენციის ძირითადი მიზნები დადასტურებულია მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებებით.

13. „ნაგულისხმევი შეზღუდვების“ კონცეფცია ასევე გულისხმობს, რომ სტრასბურგის სასამართლო არ იყენებს „აუცილებლობის“ ტრადიციულ ტესტს ან „მწვავე სოციალური საჭიროებას“ რომელიც გამოიყენება მე-8 და მე-11 მუხლების კონტექსტში. ევროპულმა სასამართლომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისობის შემოწმებისას ყურადღება გაამახვილა ორ კრიტერიუმზე: სახეზე იყო თუ არა თვითნებობა ან პროპორციულობის არარსებობა და დააბრკოლა თუ არა შეზღუდვამ პირთა აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელება. ამასთან, იგი ხაზს უსვამს ნებისმიერი

საარჩევნო კანონმდებლობის შეფასების აუცილებლობას შესაბამისი ქვეყნის პოლიტიკური ევოლუციის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი სისტემისთვის მიუღებელი მახასიათებლები შეიძლება გამართლდეს მეორეში (*Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, § 52; *Ždanoka v. Latvia* [დიდი პალატა], §§ 103-104 და 115).

14. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების შემთხვევაში შეიძლება უფრო მკაცრი მოთხოვნები დაწესდეს („პასიური“ ასპექტი) ვიდრე ხმის მიცემის უფლების შემთხვევაში („აქტიური“ ასპექტი). სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის „აქტიურ“ ასპექტთან დაკავშირებული ტესტი როგორც წესი მოიცავს პირის ან პირთა ჯგუფისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ ნორმატიული დებულებების პროპორციულობის ფართო შეფასებას. სტრასბურგის სასამართლოს ტესტი „პასიურ“ ასპექტთან მიმართებით უმეტესწილად შემოიფარგლება ეროვნულ პროცედურებში თვითნებობის არარსებობის დადასტურების მიზნით, რამაც გამოიწვია პირის კანდიდატურის დისკვალიფიკაცია (*Ždanoka v. Latvia* [დიდი პალატა], § 115; *Melnitchenko v. Ukraine*, § 57).

15. რაც შეეხება კითხვას, თუ ვის აქვს უფლება დაეყრდნოს უფლების „პასიურ“ ასპექტს, სტრასბურგის სასამართლო აღიარებს, რომ როდესაც საარჩევნო სამართალი ან ეროვნული ორგანოები ზღუდავენ კანდიდატთა ინდივიდუალურ უფლებებს, პარტიის სიით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა მხარემ, შესაძლებლობების ფარგლებში, შეიძლება განაცხადოს რომ მის მიმართ დაირღვა ეს უფლება დამოუკიდებლად მისი კანდიდატებისგან (*Georgian Labour Party v. Georgia*, §§ 72-74; *Riza and Others v. Bulgaria*, § 142).

16. გარდა ამისა, როდესაც მიმდინარეობს ქვეყნის საარჩევნო სისტემის განხილვა - ეხება ის აქტიურ თუ პასიურ ასპექტს - სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს სახელმწიფოთა ისტორიული კონტექსტების მრავალფეროვნებას. ასეთი განსხვავებული კონტექსტების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო შესაძლოა დაეთანხმოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საარჩევნო წესების არსებობას, თუმცა აგრეთვე საჭიროა ამ მოთხოვნის დონის ნებისმიერი ევოლუციის განმარტება, განსახილველი პერიოდის გათვალისწინებით.

17. და ბოლოს, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი მოიცავს წინა საარჩევნო პერიოდს, მათ შორის ხმების დათვლა და შედეგების გადაცემა. ამრიგად, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ხმის შედეგების დადგენის, დამუშავების და დარეგისტრირების ფრთხილი რეგულაცია (*Davydov and Others v. Russia*, §§ 284-285).

## II. აქტიური ასპექტი: ხმის მიცემის უფლება

18. საარჩევნო უფლების „აქტიური“ ასპექტი შეზღუდვებს ექვემდებარება. აქ, როგორც 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ქვეშ არსებულ ყველა სხვა სფეროში, წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით, რომელიც განსხვავდება შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, შესაძლებელია, მინიმალური ასაკის განსაზღვრა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე ინდივიდები საკმარისად ჩამოყალიბებულნი იყვნენ (*Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], § 62).<sup>1</sup>

19. მიუხედავად ამისა, გამოყენებული ზედამხედველობის ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო ელემენტს წარმოადგენს პროპორციულობის საკმაოდ სიღრმისეული შეფასება. დაუშვებელია, სახელმწიფოებისთვის მინიჭებულ შეფასების ფარგლებს ჰქონდეს იმგვარი ეფექტი, რომ გარკვეულ ინდივიდებს ან ინდივიდთა ჯგუფებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა აეკრძალოს, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება საკანონმდებლო ორგანოს წევრების დანიშვნას (*Aziz v. Cyprus*,<sup>2</sup> § 28; *Tănase v. Moldova* [GC],<sup>3</sup> § 158). საქმეში - *აზიზი კვიპროსის წინააღმდეგ*, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ იმსჯელა თურქ-კვიპროსელი საზოგადოების შეუძლებლობაზე, ხმა მიეცათ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში. მისი შეფასებით, 1963 წლის შემდეგ კვიპროსში არსებული არანორმალური სიტუაციის და საკანონმდებლო ვაკუუმის გათვალისწინებით, მომჩივანს - კვიპროსის რესპუბლიკაში ეთნიკურად თურქ-კვიპროსელი საზოგადოების წარმომადგენელს სრულიად წაერთვა შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრება გამოეხატა წარმომადგენელთა პალატის წევრთა არჩევის კუთხით. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით, ადგილი ჰქონდა ცალსახა არასათანდო მოპყრობას თურქ-კვიპროსელ საზოგადოებასა და ბერძენ-კვიპროსელ საზოგადოებას შორის. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთიანობაში.

20. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საჩივრები, რომლებიც არ ექცევა 1-ლი დამატებით ოქმის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, შესაძლოა, მისი სათანადოობის გათვალისწინებით, მაინც იყოს რელევანტური კონვენციის სხვა მუხლის შესაბამისად. ამგვარად, საქმეში - *მოლკა პოლონეთის წინააღმდეგ*,<sup>4</sup> მომჩივანს არ შეეძლო, ესარგებლა ხმის მიცემის უფლებით მუნიციპალური საბჭოების, საოლქო საბჭოებისა და რეგიონალური ასამბლეების არჩევნებში. საარჩევნო უბანი არ იყო ხელმისაწვდომი შშმ

<sup>1</sup> <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-70442>

<sup>2</sup> <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61834>

<sup>3</sup> <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98429>

<sup>4</sup> *Mółka v. Poland* - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-75427>



პირებისთვის განკუთვნილი ეტლით მოსიარულე ინდივიდებისთვის და ამავედროულად, არ იყო დაშვებული ბიულეტენების გატანა შესაბამისი უბნის შენობის ფარგლებს გარეთ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოთა შეუძლებლობას უზრუნველყოთ მომჩივნისთვის (რომელსაც სურდა აქტიური ცხოვრებით ეცხოვრა) საარჩევნო უბნის სათანადო ხელმისაწვდომობა, შესაძლოა იმგვარი შეურაცხყოფისა და მწუხარების შეგრძნება წარმოეშვა, რაც საკმარისი იქნებოდა მისი პირადი ავტონომიის შესაღებად და შედეგად, უარყოფითად ემოქმედა მისი პირადი ცხოვრების ხარისხზე. შედეგად, სასამართლომ აღიარა ის შესაძლებლობა, რომ ამგვარი გარემოებების არსებობის პირობებში, მე-8 მუხლის მოქმედების საკითხი შესაძლოა რელევანტური გახდეს.

## ა. სამოქალაქო უფლებების დაკარგვა

21. იმ შემთხვევებს, როდესაც პირს ან პირთა წრეს ერთმევა ხმის მიცემის უფლება, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო განსაკუთრებით ყურადღებით უდგება. ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა ამავედროულად უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის უფრო ხისტ ტესტს. სასამართლოს ამ მიმართულებით განხილული აქვს რამდენიმე საქმე, რომელშიც ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა უკავშირდებოდა სისხლის სამართლებრივ გამოძიებას. დიდი პალატის საქმე - *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ*<sup>5</sup> ეხებოდა სამოქალაქო უფლებების ავტომატურ, დროებით დაკარგვას პირისა, რომელიც მაფიის წევრობაშია ეჭვმიტანილი. სასამართლომ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ აღნიშნული ზომა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს ზომა გამოყენებული იყო მომჩივნის გამართლების შემდეგ, სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია, ვინაიდან მისი მაფიის წევრობის ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობდა. ასევე, ერთ-ერთ საქმეში - *ვიტო სანტე სანტორო იტალიის წინააღმდეგ*,<sup>6</sup> მომჩივანს ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მისი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოთავსების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, 9 თვეზე მეტი დრო გავიდა ამომრჩეველთა სიიდან მისი ამოღებიდან მანამდე, როდესაც მის წინააღმდეგ ოფიციალურად გამოიცა ზედამხედველობის შესახებ ორდერი. შედეგად, მომჩივანს წაერთვა ხმის მიცემის შესაძლებლობა ორ არჩევნებში, რასაც არ ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ზომას დაუყოვნებლივ გამოიყენებდნენ. მოპასუხე მთავრობას აღნიშნული დროის მონაკვეთის გასვლის გამამართლებელი არანაირი მიზეზი არ წარმოუდგენია.

<sup>5</sup> Labita v. Italy [GC] - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58559>

<sup>6</sup> Vito Sante Santoro v. Italy - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61868>

შესაბამისად, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

22. სამოქალაქო უფლებების დაკარგვის საკითხი არ წამოიჭრება მხოლოდ სისხლისსამართლებრივ კონტექსტში. საქმე - ალბანეზი იტალიის წინააღმდეგ<sup>7</sup> ეხებოდა პირის საარჩევნო უფლებების შეჩერებას მის წინააღმდეგ გაკოტრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების მიმდინარეობისას. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული სამართალწარმოება არა სისხლის, არამედ სამოქალაქო სამართლებრივ სფეროში ექცეოდა და შესაბამისად, არ მიანიშნებდა გაკოტრებული პირის მხრიდან რაიმე თაღლითობაზე ან მოტყუებაზე. მაშასადამე, პირის საარჩევნო უფლებებზე შეზღუდვების დაწესების მიზანი იყო არსებითად სადამსჯელო ხასიათის. შედეგად, გამოყენებული ზომა მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ გაკოტრებულად გამოცხადებული პირის დამცირებას, კიცხავდა რა მას უბრალოდ იმისთვის, რომ გადახდისუნაროდ იქნა ცნობილი განურჩევლად იმისა, ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული. შესაბამისად, ის არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიზნებისთვის.

23. [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს აგრეთვე განხილული აქვს საკითხი, რომელიც შეეხებოდა ხმის მიცემის უფლების დაკარგვას პირის ნაწილობრივად მეურვეზე დაქვემდებარების საფუძველზე. საქმეში - ალაიოს კისი უნგრეთის წინააღმდეგ,<sup>8</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი ზომა შეიძლება ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ იმის უზრუნველყოფას, რომ საჯარო ხასიათის საქმეებში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმ მოქალაქეებმა, რომლებსაც მათი გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებისა და აგრეთვე, საღი და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი აქვთ. თუმცა ხმის მიცემაზე დაწესებული ეს სადავო აკრძალვა გამოყენებული იყო როგორც ავტომატური, ბლანკეტური შეზღუდვა, განურჩევლად მხარდამჭერის მქონე პირის ფაქტობრივი უნარებისა და სრულ და ნაწილობრივ მეურვეობების გამიჯვნის არარსებობის პირობებში. სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია, რომ შეზღუდული, ინტელექტუარი ან მენტალური უნარების მქონე პირთა ერთ კლასად მოპყრობა სადავო კლასიფიცირებას წარმოადგენს და მათი უფლებების შემოკლება უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ, სკულპულოზურ შემოწმებას. შედეგად, მან დაასკვნა, რომ საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა განურჩევლად, ინდივიდუალიზებული იურიდიული შეფასების გარეშე, ვერ მიიჩნევა იმ მიზნის პროპორციულ ზომად, რომელსაც ის ემსახურება.

<sup>7</sup> Albanese v. Italy - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-72861>

<sup>8</sup> Alajos Kiss v. Hungary - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98800>

## ბ. პატიმართა სპეციფიკური საქმეები

24. ზოგადად, პატიმრები თავისუფლების აღკვეთის შემდეგაც განაგრძობენ კონვენციით დაცული ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობას, გარდა პიროვნების თავისუფლების უფლებისა იმ შემთხვევებში, როდესაც კანონიერი პატიმრობა ნათლად ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების ფარგლებში (*Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], § 69). ამ კუთხით, [ზემოთხსენებული უფლებების მსგავსად,] გამონაკლისს არც 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები წარმოადგენს. უდავოა, რომ პატიმარმა არ უნდა დაკარგოს მისი კონვენციით გათვალისწინებული უფლებები მხოლოდ მისი სტატუსის გამო, როგორც მსჯავრის დადების შემდეგ თავისუფლებააღკვეთილმა პირმა. თუმცა ეს არ უკრძალავს სახელმწიფოს, გადადგას ნაბიჯები საზოგადოების დასაცავად ისეთი ქმედებებისგან, რაც მიზნად ისახავს კონვენციაში გამყარებული უფლებებისა და თავისუფლებების განადგურებას.

25. მაშასადამე, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ საარჩევნო უფლებებზე შეზღუდვები დაუწესდეს პირს, რომლის მდგომარეობის გამოყენება საჯარო სამსახურეობრივ პოზიციაზე სერიოზული არასათანადოობით ხასიათდებოდა ან რომლის ქცევაც საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობის პრინციპს ან დემოკრატიულ საწყისებს. თუმცა, საარჩევნო უფლების ჩამორთმევის ღონისძიებას, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანოებმა მარტივად არ უნდა მიმართონ და პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს აშკარა და სათანადო კავშირის არსებობას გამოყენებულ სანქციას, პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და ფაქტობრივ გარემოებებს შორის (*Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], § 71).

26. შედეგად, პატიმრისთვის პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა შესაძლოა ემსახურობდეს ისეთ ლეგიტიმურ მიზნებს, როგორიცაა დანაშაულის აღკვეთა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება ისევე, როგორც კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვისა და დემოკრატიული რეჟიმის სათანადო ფუნქციონირებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა. თუმცა, ამგვარი ზომა არ უნდა იქნას გამოყენებული ავტომატურად, ასეთ შემთხვევაში ის ვერ დააკმაყოფილებს პროპორციულობის მოთხოვნას.

27. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სასამართლოებს მიანდონ პატიმრის საარჩევნო უფლებათა შეზღუდვის პროპორციულობის შეფასება ან თავად განახორციელონ კანონმდებლობაში შესაბამისი დანაწესების ინკორპორირება, რომლებიც ამგვარი ზომის გამოყენების გარემოებებს განსაზღვრავს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს დაეკისრება ვალდებულება, ბალანსი დაიცვას შეპირისპირებულ ინტერესთა შორის, რათა თავიდან იქნას არიდებული რაიმე ზოგადი,

ავტომატური და განურჩეველი ხასიათის შეზღუდვა. შედეგად, კონკრეტული, სასამართლო გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, ხმის მიცემის უფლებაზე შეზღუდვის დაწესება ავტომატურად არ განაპირობებს 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას (*Scoppola v. Italy (no. 3)* [GC], § 102)<sup>9</sup>.

28. საქმეში - *ჰირსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (N. 2)* [დიდი პალატა]<sup>10</sup> [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან ხმის მიცემაზე დაწესებული აკრძალვა იყო ბლანკეტური ხასიათის, რომელიც ავტომატურად იქნა გამოყენებული ყველა პირზე, ვისაც სასჯელის სახით შეფარდებული ჰქონდა თვისუფლების აღკვეთა. აკრძალვა ეხებოდა 48 000 პატიმარს, რაც წარმოადგენდა დიდ რაოდენობას და მოიცავდა როგორც ყველა სახის სასჯელს, დაწყებული 1-დღიანი პატიმრობიდან დამთავრებული უვადო პატიმრობით, ასევე სხვადასხვა ტიპის დანაშაულს - ყველაზე მსუბუქიდან ყველაზე მძიმემდე. დამატებით, ინდივიდის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და მისი საარჩევნო უფლებების დაკარგვას შორის უშუალო კავშირი არ არსებობდა. სასამართლომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა ასევე საქმეში - *სოილერი თურქეთის წინააღმდეგ*,<sup>11</sup> სადაც მსჯავრდებული პირების საარჩევნო უფლებებზე დაწესებულ შეზღუდვებს კიდევ უფრო ფართო მასშტაბი და ზეგავლენა ჰქონდათ იმიტომ, რომ ის გამოყენებული იყო მათ მიმართაც, ვინც ციხეში სასჯელს აღარ იხდიდა. საქმეში - *ფროდლი ავსტრიის წინააღმდეგ*,<sup>12</sup> საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა ზეგავლენას სისტემატურად არ ახდენდა ყველა პატიმარზე, მხოლოდ მათზე, რომლებსაც მისჯილი ჰქონდათ 1 წელზე მეტი დროით თავისუფლების აღკვეთა განზრახ დანაშაულისთვის. მიუხედავად ამისა, საქმის გარემოებებიდან არ იკვეთებოდა კავშირი მოცემული ღონისძიების ავტომატურ გამოყენებასა და პირთა ქცევის ან საქმის გარემოებებს შორის.

29.. მეორე მხრივ, საქმეში - *სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ (N. 3)* [დიდი პალატა]<sup>13</sup> [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ შეაფასა საარჩევნო უფლებაზე დაწესებული აკრძალვა, რომელიც მიემართებოდა მხოლოდ გარკვეულ, სათანადოდ განსაზღვრულ დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირებს ან იმ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რომელთა სასჯელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ, კონკრეტულ ლიმიტს ცდებოდა. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ფრთხილი იყო თითოეულ საქმეზე მოცემული ზომის მოქმედების ხანგრძლივობის მორგების თვალსაზრისით, იღებდა რა მხედველობაში ყოველი შემთხვევის სპეციფიურ

<sup>9</sup> <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-111044>

<sup>10</sup> *Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC]

<sup>11</sup> *Söyler v. Turkey*

<sup>12</sup> *Frodl v. Austria* - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98132>

<sup>13</sup> *Scoppola v. Italy (no. 3)* [GC]

მანსიათებლებს. აკრძალვის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო აგრეთვე შეფარდებულ სასჯელსა და შესაბამისად, ირიბად - დანაშაულის სიმძიმეზეც. მსჯავრდებულთა შორის მრავალმა პირმა შეინარჩუნა საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობა. დამატებით, აღნიშნული სისტემა ასევე ითვალისწინებდა საარჩევნო უფლებათა აღდგენის შესაძლებლობას იმ მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც პერმანენტული ხასიათის აკრძალვა ჰქონდათ დაწესებული. მაშასადამე, იტალიური სისტემა არ გამოირჩეოდა გადაჭარბებული სისხისტიით. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას.

30. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დარღვევის დასადგენად, პატიმრებმა უნდა მოახერხონ იმის ჩვენება, რომ მათ რეალურად არ მიეცათ ხმის მიცემის შესაძლებლობა. მათთვის საკმარისი არაა, რომ დაეყრდნონ მხოლოდ მათ, როგორც თავისუფლებააღკვეთილების, მდგომარეობას, ვინაიდან შესაძლოა სადავო არჩევნების თარიღამდე ადგილი ჰქონდეს ადრეულ გათავისუფლებას ან ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანას ან სხვა ფაქტობრივ გარემოებას. ამგვარი საჩივრები შესაბამისად მიუღებლად გამოცხადდება,<sup>14</sup> როგორც აშკარად დაუსაბუთებელი (*Dunn and Others v. the United Kingdom* (განჩინება)).<sup>15</sup>

31. მეტიც, [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს არასდროს მიუჩნევია სათანადოდ, მიეთითებინა სახელმწიფოებისთვის საჭირო განსახორციელებელი ღონისძიებები, რათა „ბოლო მოედო“ პატიმრებისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევით გამოწვეული დარღვევებისთვის. მიუხედავად ამისა, იმ ღონისძიების გასამართლებლად, რომელმაც კონვენციის დარღვევა განაპირობა სახელმწიფოები ვერ დაეყრდნობიან კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის კომპლექსურობას. ამ კუთხით, საქმეში - *ანჩუგოვი და გლადკოვი რუსეთის წინააღმდეგ*,<sup>16</sup> სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მთავრობის არგუმენტზე, რომლის მიხედვითაც საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული აკრძალვა კონსტიტუციის დანაწესით იყო განსაზღვრული, რომელიც პარლამენტის მიერ ვერ შეიცვლებოდა და მისი რევიზია მხოლოდ ახალი კონსტიტუციის მიღების შედეგად იყო შესაძლებელი, რაც პროცედურის განსაკუთრებულ კომპლექსურობაზე მიუთითებდა. აღნიშნულის საპირწონედ სასამართლომ აღნიშნა, რომსახელმწიფო ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ფარგლებში) იმ საშუალების არჩევა, რაც გამოყენებული იქნება კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მთავრობებისთვის შესაძლებელია, განიხილონ ყველა შესაძლო გზა თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის

<sup>14</sup> იგულისხმება - დაუშვებლად მიიჩნევა.

<sup>15</sup> <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-144402>

<sup>16</sup> *Anchugov and Gladkov v. Russia*

პოლიტიკური პროცესის სათანადო ფორმა ან კონსტიტუციის კონვენციასთან შესაბამისი ინტერპეტირების შესაძლებლობა (§ 111).

32. საბოლოოდ, საქმეში - *მუჰანი და გილონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*(განჩინება)<sup>17</sup>, მსჯავრდებული პატიმრები დავობდნენ იმის თაობაზე, რომ ვერ შეძლეს ხმის მიცემის უფლებით ესარგებლათ 2014 წელს, შოტლანდიის დამოუკიდებლობის თაობაზე ჩატარებულ რეფერენდუმში. დაადგინა რა, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ვრცელდებოდა გამოკითხვის ასეთ ფორმაზე, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ მათი საჩივრები მიუღებლად გამოაცხადა.

## **გ. საცხოვრებელი ადგილი, როგორც ხმის მიცემის უფლების განხორციელების პირობა**

### **1. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების ხმის მიცემის უფლება**

33. 1961 წელს დაწყებულ რიგ შემთხვევებზე, კომისიამ დაუშვებლად გამოაცხადა საჩივრები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხმის მიცემის უფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით, როგორც ამკარად უსაფუძვლო (იხ. კომისიის გადაწყვეტილებები: *X. and Others v. Belgium*; *X. v. the United Kingdom* (11 დეკემბერი 1976); *X. v. the United Kingdom* (28 თებერვალი 1979); *X. v. the United Kingdom* (13 მაისი 1982); *Polacco and Garofalo v. Italy*; *Luksch v. Germany*).

34. სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისობა საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმთან. ასეთი შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს მრავალი მიზეზის გამო:

- პირველ რიგში, პრეზუმფცია რომ არარეზიდენტ მოქალაქეებს ნაკლებად პირდაპირ ან ნაკლებად განუწყვეტლად ეხებათ საკუთარი ქვეყნის ყოველდღიური პრობლემები და ნაკლები ინფორმაცია აქვთ მის შესახებ;
- მეორე, ის ფაქტი, რომ პარლამენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის მარტივი არ არის საარჩევნო საკითხების წარდგენა უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ასევე ნაკლები გავლენა ექნებათ კანდიდატების არჩევაზე ან მათი მანიფესტების შედგენაზე;
- მესამე, საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასა და ამგვარად არჩეული პოლიტიკური ორგანოების ქმედებებზე უშუალოდ გავლენის მოხდენის ფაქტს შორის მჭიდრო კავშირი; და,

<sup>17</sup> Moohan and Gillon v. the United Kingdom (dec.) - <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-175572> .

- მეოთხე, ლეგიტიმური ინტერესი, რომ საკანონმდებლო ორგანოს შეიძლება შეუზღუდოს საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების გავლენა არჩევნებზე იმ საკითგებთან დაკავშირებით, რომლებიც ფუნდამენტურია და ამავდროულად პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის შიგნით მცხოვრებ მოქალაქეებზე.

35. მაშინაც კი, თუ დაინტერესებულ პირს ბოლომდე არ აქვს გაწყვეტილი კავშირი წარმოშობის ქვეყანასთან და ზემოხსენებული რამდენიმე ფაქტორი შესაძლოა არ ეხებოდეს მას, კანონი ყოველთვის ვერ გაითვალისწინებს თითოეულ საქმეს არამედ მან უნდა დააწესოს ზოგადი წესი (*Hilbe v. Liechtenstein* (განჩინება); *Doyle v. the United Kingdom* (განჩინება); *Shindler v. the United Kingdom*, § 105).

36. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია იმ მოქალაქეთა საჩივრები რომლებმაც დატოვეს საკუთარი წარმოშობის ქვეყანა (*Hilbe v. Liechtenstein* (განჩინება)). ორ შემთხვევაში, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ არარეზიდენტ პირებს ეროვნულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვთ ემიგრაციიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში, მათი უფლება აღდგება თუ და როდესაც ისინი დაბრუნდებიან წარმოშობის ქვეყანაში, ამრიგად სასამართლომ მიიჩნია, რომ მიღებული ზომა არაპროპორციულია (*Doyle v. the United Kingdom* (განჩინება); *Shindler v. the United Kingdom*, § 108). ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ პარლამენტი არაერთხელ ცდილობდა აეწონა ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები და დეტალურად განიხილა არარეზიდენტ პირთა საარჩევნო უფლებების საკითხი; პარლამენტში აზრთა ევოლუცია აისახა გარდამავალ პერიოდში შეტანილ ცვლილებებში, ვინაიდან რამოდენიმე არარეზიდენტ მოქალაქეს პირველად მიეცა ხმის მიცემის უფლება (იქვე, § 117).

37. საქმეში - *შინდლერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>18</sup> ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპულ დონეზე იზრდებოდა ცნობიერება მიგრანტთა პრობლემების შესახებ, რომლებიც არსებობდნენ წარმოშობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არჩევნებში ხმის მიცემის მისაღებად. ამრიგად, როგორც იმჟამად კანონი ითვალისწინებდა, განხილულ მასალაზე დაყრდნობით არ შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ არარეზიდენტი პირებისთვის მიენიჭებინათ ხმის მიცემის შეუზღუდავი უფლება. მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოების კანონებსა და პრაქტიკაში არსებობდა ამკარა ტენდენცია არარეზიდენტ პირებს ჰქონოდათ ხმის მიცემის უფლება და სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა ემხრობოდა შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის უფლებას, ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დამკვიდრებულიყო რაიმე საერთო მიდგომა ან კონსესუსი არარეზიდენტისათვის ხმის მიცემის შეუზღუდავი უფლებების სასარგებლოდ. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა,

<sup>18</sup> *Shindler v. the United Kingdom*

რომ ეს საკითხი შეიძლება კიდევ საჭიროებს განხილვას, სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები ამ საკითხთან დაკავშირებით, კვლავ ფართოა (§§ 109-115).

## 2. გარკვეული ტერიტორიების კონკრეტული შემთხვევები

38. საქმეში - *ჰი საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>19</sup> სტრასბურგის სასამართლო დაუბრუნდა პოტენციურ ამომრჩეველსა და შესაბამის ტერიტორიას შორის მჭიდრო კავშირის არსებობის იდეას. საფრანგეთის მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობდა ნოუმეაში უარი ეთქვა ახალი კალედონიის კონგრესის არჩევნებში ხმის მიცემაზე იმ საფუძვლით, რომ ვერ შეძლო ამ ტერიტორიაზე ათწლიანი ცხოვრების დამტკიცება. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არჩევნები უნდა გამოსატავდეს „დაინტერესებული“ მოსახლეობის ნებას და მისი შედეგები მასობრივი კენჭისყრით, გავლენას არ უნდა ახდენდეს იმ ტერიტორიაზე ახლად გადმოსახლებულ პირებზე რომლებსაც ძლიერი კავშირი არ გააჩნიათ მასთან. გარდა ამისა, ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა იყო ახალი კალედონიის მოქალაქეობის მიღების პირდაპირი და აუცილებელი შედეგი. ახალ კალედონიაში პოლიტიკური ინსტიტუციების ქმედებებს იგივე ზეგავლენა არ მოუხდენია მომჩივანზე რაც მაცხოვრებელ მოქალაქეებზე. შესაბამისად, საცხოვრებლის მდგომარეობა გამართლებული იყო და ატარებდა ლეგიტიმურ მიზანს. ახალი კალედონიის ისტორია და სტატუსი - გარდამავალი პერიოდი სრული სუვერენიტეტის მიღწევამდე და თვითგამორკვევის პროცესის ნაწილი - შეიძლება ჩაითვალოს როგორც „ადგილობრივი მოთხოვნების“ დამწესებელი, რომლის მიხედვითაც მისი მაცხოვრებლობა ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც 10 წლიანი ცხოვრების მოთხოვნის პირობა რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო სისხლიანი კონფლიქტის შემსუბუქებისათვის.

39. საქმე *სევინგერი ნიდერლანდების წინააღმდეგ*<sup>20</sup> ეხებოდა არუბას კუნძულის, რომელსაც გარკვეული ავტონომია გააჩნდა, მაცხოვრებელთა ხმის მიცემის შეუძლებლობას გერმანიის პარლამენტში. თუმცა, მათ შეეძლოთ ხმის მიცემა არუბას პარლამენტში, რომელსაც უფლება ჰქონდა სპეციალური დელეგატები გაეგზავნა გერმანიის პარლამენტში. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ არუბაში მცხოვრებ გერმანიის მოქალაქეებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატის გადაწყვეტილებებზე და რომ მათ არ ეხებათ პარლამენტის ქმედებები ისეთივე დოზით როგორც გერმანიის მოქალაქეებს რომლებიც ცხოვრობენ ნიდერლანდებში. მან ასევე არ დააკმაყოფილა სარჩელი მე-14 მუხლთან დაკავშირებით 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

<sup>19</sup> Py v. France

<sup>20</sup> Sevinger v. the Netherlands



ევროპულმა საამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ არუბაში მცხოვრებ გერმანიის მოქალაქეებს გააჩნდათ უფლება ხმა მიეცათ არუბას პარლამეტის წევრების არჩევაში და შესაბამისად, მათი სიტუაცია არ იყო სხვა გერმანიის მოქალაქეების მსგავსი.

40. რაც შეეხება, შესაბამის სახელმწიფოში არჩევნების გეოგრაფიულ და ტერიტორიულ ორგანიზებას, სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ ერთი საარჩევნო რგოლიდან პირის სახელის ამოშლის და მისი მეორეში დამატების ლეგიტიმური მიზნებია: უზრუნველყოს საარჩევნო სიების შედგენა შესაბამის დროში და არჩევნებთან დაკავშირებული ოპერაციების სწორედ ორგანიზებასა და თაღლითობის თავიდან აცილების ზედამხედველობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილ ვადაში ამ ფორმალობების შესრულების ვალდებულება ექცევა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში (Benkaddour v. France).

### 3. არარეზიდენტი მოქალაქეებისათვის უცხო ქვეყანაში არჩევნების ორგანიზება

41. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს დანერგონ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არარეზიდენტი მოქალაქეების ხმის მიცემის უფლების განხორციელებას. საქმეში - *სიტაროპულოსი და გიაკომოპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]<sup>21</sup> მომჩივნები დავობდნენ, რომ ამ საკითხებზე რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მათ არ შეეძლოთ ხმის მიცემის უფლების განხორციელება იმ ქვეყანაში სადაც ისინი ცხოვრობდნენ როგორც ემიგრანტები (საფრანგეთი) მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოშობის ქვეყნის კონსტიტუცია (საბერძნეთი) ითვალისწინებდა ამ შესაძლებლობას. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი, რადგან მომჩივნების ფინანსური, ოჯახური და პროფესიული ცხოვრების შეფერხება, რასაც გამოიწვევდა მომჩივნების საბერძნეთში გამგზავრება, არ იქნებოდა არაპროპორციული იმ თვალსაზრისით, რომ შესუსტდებოდა მათი ხმის მიცემის უფლებები.

42. ამასთან, როდესაც ეროვნული სამართალი ითვალისწინებს ამგვარ სისტემას, შედეგად შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული ვალდებულებები, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში უცხო ქვეყანაში ახალი არჩევნების ჩატარების ვალდებულება. საქმეში - *რიზა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*<sup>22</sup> ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ იგი ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ სხვა დამოუკიდებელ ქვეყანაში ახალი არჩევნების ორგანიზებისას, თუნდაც მხოლოდ საარჩევნო უბნების მუზღუდულ რაოდენობაში, შეიძლება წარმოიშვას დიპლომატიური და ორგანიზაციული

<sup>21</sup> Sitaropoulos and Giakoumopoulos v. Greece [GC]

<sup>22</sup> Riza and Others v. Bulgaria

დაბრკოლებები და გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები. ამასთან, მან დაადგინა, რომ ახალი არჩევნების დაბრკოლება საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნების დღეს საარჩევნო საბჭოს მიერ სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა, შეიძლება ატარებდეს ლეგიტიმურ მიზანს არჩევნების შედეგების გაბათილების მიღმა, კერძოდ, საარჩევნო პროცესის კანონიერების შენარჩუნებას, ამომრჩეველთა და პარლამენტის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების, უფლებებთან მიმართებით.

43. საქმე *ორანი თურქეთის წინააღმდეგ*<sup>23</sup> ეხებოდა უცხო ქვეყანაში მცხოვრებ თურქ ამომრჩეველთა შეუძლებლობას ხმა მიეცათ დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის (არა პარტიის წევრებისთვის) საარჩევნო უბნებში რომლებიც განთავსებულია საბაჟო პოსტებზე. აღნიშნულ პირობებში, ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისთვის. ეს შეზღუდვა გამართლდა იმ ფაქტით, რომ შეუძლებელი იყო ემიგრანტების საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებად დადგენა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ შეზღუდვა უნდა შეფასდეს ემიგრანტთა ხმის მიცემის უფლების განხორციელებაზე ზოგადად შეთანხმებული შეზღუდვების გათვალისწინებით და კერძოდ, ლეგიტიმური ინტერესი, რომ საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება შეზღუდოს უცხო ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების გავლენა იმ საკითხებზე რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყანაში მცხოვრებ პირებზე. მან ასევე ხაზი გაუსვა პოლიტიკური პარტიების როლს - ერთადერთი ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ მოვიდნენ ხელისუფლებაში და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მთლიანად ეროვნულ რეჟიმზე. გარდა ამისა, შეზღუდვა განაპირობა კიდევ ორმა კანონიერმა მიზანმა: დემოკრატიული პლურალიზმის გაძლიერება კანდიდატურების გადაჭარბებული და უფუნქციო დანაწევრების აღკვეთისას, რითაც გააძლიერა ხალხის აზრის გამოხატულება საკანონმდებლო ორგანოს არჩევნისას. შესაბამისად, შეზღუდვა აკმაყოფილებდა საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმურ ინტერესს ქვეყნის და მთავრობის პოლიტიკური უზრუნველყოფის უზრუნველსაყოფად, რომელიც არჩევნების შემდეგ მასზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. შესაბამისად არ დარღვეულა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

### III. პასიური ასპექტი: არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება

44. აქტიური ასპექტის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში განვითარდა თავისუფალი არჩევნების უფლების პასიური ასპექტიც, რაც გულისხმობს არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის მიღების უფლებას. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება „დემოკრატიული რეჟიმის კონცეფციის განუყოფელი ნაწილია“ (*Podkolzina v. Latvia*, § 35). თუმცა, სასამართლო 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის ამ ასპექტზე

<sup>23</sup> Oran v. Turkey

დაწესებული შეზღუდვების განხილვისას უფრო ფრთხილი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც უნდა განეხილა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა; პროპორციულობის ტესტი უფრო ვიწროა. შესაბამისად, თავისუფალი არჩევნების უფლების „პასიურ“ ასპექტთან დაკავშირებით სახელმწიფოები სარგებლობენ უფრო ფართო მიხედულებით (*Etxebarria and Others v. Spain*, § 50; *Davydov and Others v. Russia*, § 286).

45. თუმცა, კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა პასიურ ასპექტზეც თანაბრად ვრცელდება. ამ კონტექსტში, მიუხედავად სახელმწიფოებისთვის მინიჭებული შეფასების ფართო ფარგლებისა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება რასას, კანის ფერს ან ეთნიკურ წარმომავლობას, ობიექტური და გონივრული დასაბუთების ცნება რაც შეიძლება მკაცრად უნდა განიმარტოს (*Sejdić and Finci v. Bosnia-Herzegovina [GC]*, § 44).

46. გადაწყვეტილებაში საქმეზე *სეჯდიჩი და ფინჩი ბოსნიისა და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ [დიდი პალატა]*<sup>24</sup> სასამართლომ განიხილა წესი, რომლის მიხედვით სახალხო პალატის არჩევნებში კენჭისყრას მხოლოდ ის პირები შეძლებდნენ, რომლებიც თავს რომელიმე „შემადგენელ ხალხს“ მიაკუთვნებდა. პოტენციურ კანდიდატებს, რომლებიც უარს აცხადებდნენ მსგავს აფილირებაზე, არ შეეძლოთ არჩევნებში კენჭისყრა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს წესი ემსახურებოდა სულ მცირე ერთ მიზანს, რომელიც კონვენციის პრეამბულაში მოცემულ ზოგად ამოცანებს შეესაბამებოდა, კერძოდ - მშვიდობის აღდგენას. გასაჩივრებული კონსტიტუციური დებულებების მიღების დროს, ქვეყანაში მყიფე ზავი იყო დამყარებული. დებულებები მიზნად ისახავდა, სისასტიკით სავსე კონფლიქტის დასრულებას, რომლის დროსაც მოხდა გენოციდი და ეთნიკური წმენდა. კონფლიქტი იმგვარ ხასიათს ატარებდა, რომ მშვიდობის მისაღწევად აუცილებელი იყო „შემადგენელი ხალხის“ (კერძოდ, ბოსნიელების, ხორვატებისა და სერბების) თანხმობა. ამით შეიძლება აიხსნას, თუმცა არაა აუცილებელი გამართლდეს, ის, რომ სხვა თემები (როგორებიცაა ადგილობრივი ბოშები და ებრაელები) არ იყვნენ წარმოდგენილნი სამშვიდობო მოლაპარაკებებში და რომ მონაწილეთა მთავარი საზრუნავი იყო, კონფლიქტის შემდგომ საზოგადოებაში „შემადგენელ ხალხს“ შორის რეალური თანასწორობისთვის მიედწიათ. თუმცა, დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნეოდა. დამატებით, კონვენციისა და მისი ოქმების დათქმების გარეშე რატიფიცირებით, მოპასუხე სახელმწიფომ ნებაყოფლობით იკისრა შესაბამისი სტანდარტების დაცვის ვალდებულება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნების მიერ სახალხო პალატის არჩევნებში კენჭისყრის უფლების არქონას, რაც განგრძობად ხასიათს ატარებდა, არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

<sup>24</sup> *Sejdić and Finci v. Bosnia-Herzegovina [GC]*.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

47. გადაწყვეტილებაში საქმეზე ზორნიჩი ბოსნიისა და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ<sup>25</sup> სასამართლომ იმავე საფუძვლებით დაადგინა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნულ საქმეშიც მომჩივანს, იმავე მიზეზით, არ შეეძლო კენჭი ეყარა ბოსნიისა და ჰერცეგოვინას სახალხო პალატისა და პრეზიდენტობის არჩევნებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ *სეკდიჩის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ზედმეტად გაჭიანურდა და წინამდებარე საქმეში დადგენილი დარღვევა ამ გაჭიანურების პირდაპირი შედეგი იყო. ამდენად, სასამართლომ გადაწყვეტილება კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე მიიღო. მან დაადგინა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინას კონფლიქტიდან თვრამეტი წლის შემდეგ, ახალი პოლიტიკური სისტემის მიღების დრო მოვიდა, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებით აღჭურავს (*ზორნიჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ*, § 43).

48. გადაწყვეტილებაში საქმეზე *ტანასე მოლდოვას წინააღმდეგ [დიდი პალატა]*<sup>26</sup> სასამართლომ იმსჯელა ორმაგ მოქალაქეობაზე, თუმცა მხოლოდ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით. მან დაადგინა, რომ არსებობს კონსენსუსი, რომლის თანახმად: სადაც ნებადართულია რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობა, ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობა არ უნდა გახდეს საფუძველი იმისა, პირს არ მიეცეს პარლამენტის არჩევნებში კენჭისყრის უფლება, მაშინაც კი, როდესაც მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებიც რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეები არიან, შეიძლება მაღალი იყოს.

## **ა. არჩევნებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა და დემოკრატიული წესრიგი**

49. რაც შეეხება არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების შეზღუდვებს, დემოკრატიული წესრიგის დაცვა ერთ-ერთი ამოცანაა, რომელიც შეესაბამება კანონის უზენაესობის პრინციპსა და კონვენციის ზოგად მიზნებს.

50. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ კონვენციასთან შესაბამისი იყოს, პირველ რიგში კანდიდატისთვის უარი კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. საქმეზე *დიკლი და სადაკი თურქეთის წინააღმდეგ*<sup>27</sup> მომჩივნებს, პარლამენტის წევრებს იმ პოლიტიკური

<sup>25</sup> Zornic v. Bosnia-Herzegovina.

<sup>26</sup> Tanase v. Moldova [GC].

<sup>27</sup> Dicle and Sadak v. Turkey.

პარტიიდან, რომელიც გაუქმდა, უკანონო ორგანიზაციის წევრობისთვის მკაცრი სასჯელი დაეკისრათ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მათი საქმე ხელახლა განიხილეს. თუმცა, საპარლამენტო არჩევნებში მათ კანდიდატურად უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ [მათ] სასჯელი სრულად არ ჰქონდათ მოხდილი. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის განხილვისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული გადაწყვეტილებებიდან აშკარა იყო, რომ საქმის ხელახლა განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, საქმე იმგვარად უნდა განხილულიყო, თითქოს მომჩივნების პირველი სასამართლო პროცესი იმართებოდა. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანთა თავდაპირველი ნასამართლობის შესახებ ჩანაწერის შენარჩუნება და შემდგომში მათი კანდიდატურისთვის უარის თქმა არ იყო კანონით გათვალისწინებული; შედეგად, დაირღვა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი.

51. საქმეზე *ეტხებერია და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>28</sup> მომჩივანთა კანდიდატურები გაუქმდა იმ საფუძვლით, რომ ისინი ახორციელებდნენ სამი პოლიტიკური პარტიის აქტივობებს, რომლებიც უკანონოდ იქნა მიჩნეული და გაუქმდა ძალადობისა და ტერორისტული ორგანიზაციის მხარდაჭერის გამო. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რაც მათ საშუალებას აძლევდა დაესკვნათ, რომ ზემოხსენებულ კანდიდატებს სურდათ ღნიშნული პოლიტიკური პარტიების საქმიანობის გაგრძელება. ხელისუფლების ორგანოებმა ინდივიდუალური კანდიდატების აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღეს. შეჯიბრებით პროცესზე სასამართლო განხილვის შემდეგ, სადაც ამ პირებს საკუთარი არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდათ, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს ცალსახა კავშირი იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც უკანონოდ იყო გამოცხადებული. საბოლოოდ, პოლიტიკური კონტექსტი ესპანეთში, კერძოდ სამთავრობო ორგანოებში გარკვეული ავტონომიური თემების არსებობა, ადასტურებდა, რომ სადავო ღონისძიება არ იყო ნაწილი პოლიტიკისა, რომელიც კრძალავდა სეპარატისტული შეხედულებების გამოხატვას. ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო.

52. მართალია, სასამართლოს შეფასება ნაკლებად მკაცრია 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის აქტიურ ასპექტთან შედარებით, თუმცა ის აგრეთვე აფასებს პასიურ ასპექტსაც. კერძოდ, პროპორციული ტესტი, მართალია შედარებით მოქნილია, თუმცა რეალურია. სასამართლომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა რამდენჯერმე იმის გამო დაადგინა, რომ პარლამენტის წევრებს, რომელთა პარტიებიც ტერიტორიული და ქვეყნის მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის გამო გაუქმდა, არაპროპორციული სანქცია დაეკისრა.

<sup>28</sup> Etxebarria and Others v. Spain.

53. აღსანიშნავია, რომ საქმეები, რომლებიც ეხება პოლიტიკური პარტიების აკრძალვას იმის გამო, რომ მათი მანიფესტები არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს, ძირითადად კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით განიხილება (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება). ამ შემთხვევაში კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი მეორეხარისხოვნად მიიჩნევა და არ წარმოშობს განსახილველ ცალკეულ საკითხს (*Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey [GC]; Linkov v. the Czech Republic; Parti nationaliste basque – Organisation régionale d'Iparralde v. France*).

## ბ. ისტორიული კონტექსტის მნიშვნელობა

54. საარჩევნო ცენზი თითოეულ სახელმწიფოში განსხვავებულია, ქვეყნისთვის სპეციფიკური ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორების შესაბამისად. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კონსტიტუციებსა და საარჩევნო კანონმდებლობაში მოცემული სიტუაციების სხვადასხვაგვარობა, ცხადყოფს ამ სფეროში შესაძლო მიდგომების მრავალფეროვნებას. ამრიგად, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის გამოყენების მიზნებისთვის, ნებისმიერი საარჩევნო კანონმდებლობა უნდა შეფასდეს ქვეყნის პოლიტიკური განვითარების შუქზე (*Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium, § 54; Podkolzina v. Latvia, § 33; Ždanoka v. Latvia [GC], § 106*).

55. საქმეზე *ზდანოკა ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*<sup>29</sup> მომჩივანი იმ პარტიის წევრი იყო, რომელმაც 1991 წელს სახელმწიფო გადატრიალება ცადა. მოგვიანებით, არჩევნებში მის კანდიდატურას რამდენჯერმე უარი ეთქვა ზემოხსენებულ პარტიაში, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, მისი საქმიანობის გამო. სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივნისა ყოფილი პოზიცია ამ პარტიაში, 1991 წელს მომხდარ მოვლენის დროს მის პოზიციასთან ერთად, კვლავ ამართლებდა ეროვნული პარლამენტის არჩევნებიდან მის გამორიცხვას. მაშინ, როდესაც მსგავსი ღონისძიება ძნელად თუ მიიჩნევა დასაშვებად, მაგალითად, ქვეყანაში, რომელსაც აქვს მრავალი ათწლეულის წინ დამკვიდრებული დემოკრატიული ინსტიტუტები, თუმცა ის დასაშვებად მიიჩნევა ლატვიაში, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტისა და ახალი დემოკრატიული წყობისთვის არსებული საფრთხის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ლატვიის პარლამენტს ეკისრებოდა ვალდებულება ნორმატიული შეზღუდვა მუდმივი განხილვის რეჟიმში ყოფილიყო, იმ მიზნით, რომ ნაადრევად დასრულებულიყო. მსგავსი დასკვნა უფრო გამართლებული იყო ლატვიის მიერ მოპოვებული სტაბილურობით, რაც სხვებს შორის ევროპაში მისმა სრულმა ინტეგრაციამ განაპირობა. ამრიგად, ლატვიის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან

<sup>29</sup> *Zdanoka v. Latvia [GC]*.

ნებისმიერმა მარცხმა, რომ ამ მიმართულებით გადადგას აქტიური ნაბიჯები, შესაძლოა სასამართლოს მიერ სხვა დასკვნის გაკეთება განაპირობოს (§§ 132-135).

56. სასამართლომ მოგვიანებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა დროის გასვლის მნიშვნელობა და ლუსტრაციის კანონების გადასინჯვის საჭიროება. საქმეზე *ადამსონსი ლატვიის წინააღმდეგ*<sup>30</sup> მომჩივანს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს, უარი ეთქვა კანდიდატურაზე იმ საფუძვლით, რომ ის „კგბ“-ს თანამშრომელი იყო. სტრასბურგის სასამართლომ დაადასტურა მისი დასკვნები ქვეყნის ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირებით. თუმცა, მან დამატებით აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში მხოლოდ ზოგადი ეჭვი ჯგუფების მიმართ აღარ იყო საკმარისი და ხელისუფლების ორგანოებმა მსგავსი ღონისძიება უნდა გაამართლონ დამატებითი არგუმენტებითა და მტკიცებულებით. მოცემულ საქმეში გამოყენებული კანონმდებლობა ეხებოდა ყოფილი „კგბ“-ს თანამშრომლებს. მოცემულ სამსახურში არსებული განსხვავებული დავალებების გათვალისწინებით, ფარგლები ძალიან ფართო იყო. ამ გარემოებებში, იმის დადგენა, რომ პირი გარკვეულ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, აღარ იყო საკმარისი. სადავო ჯგუფი ძალიან ზოგადად იყო განმარტებული, ამ ჯგუფის საარჩევნო უფლებებზე დაკისრებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ მიდგომას, პირის რეალური საქმიანობის გათვალისწინებით. დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინდივიდუალური მიდგომის საჭიროება. მომჩივანი არასდროს ყოფილა ბრალდებული ტოტალიტარული რეჟიმის უკანონობებში პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობაში ან ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც წინააღმდეგობას ან მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა ლატვიის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წესრიგის აღდგენაში. უფრო მეტიც, ის ოფიციალურად შეუსაბამო კანდიდატად მიიჩნეეს დაგვიანებით, დამოუკიდებელ ლატვიაში ათწლიანი სანიმუშო სამხედრო და პოლიტიკური კარიერის შემდეგ. ამ გარემოებებში მხოლოდ ძალიან სარწმუნო მიზეზები თუ გაამართლებდა მომჩივნის შეუსაბამო კანდიდატაც ცნობას. დამატებით, ათწლიანი საკანონმდებლო ბაზა, რომლის დროსაც ყოფილი „კგბ“-ს თანამშრომლები ექვემდებარებოდნენ სხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტებში გათვალისწინებულ შეზღუდვებს, კიდევ ათი წლით გაგრძელდა პარლამენტისა და მთავრობის მხრიდან შესაბამისი მიზეზების წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეს განხანგრძლივება მომჩივანთან მიმართებით აშკარად თვითნებური იყო.

## გ. არჩევნების მოწყობა

57. არჩევნების პრაქტიკული ორგანიზება კომპლექსური საკითხია, რაც მოითხოვს

<sup>30</sup> Adamsons v. Latvia.

კანონმდებლობის შემუშავებასა და ზოგჯერ დახვეწას. ამ საკითხის შეფასების დროს, სტრასბურგის სასამართლო ყურადღების მიღმა არ ტოვებს თითოეული სახელმწიფოსთვის სპეციფიკურ მახასიათებლებს ან სირთულეებს. შედეგად, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მიხედულების ფართო ფარგლები აქვთ.

58. სასამართლოს მოსაზრებით, საარჩევნო სიების სათანადო წარმართვა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების წინაპირობაა. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების ეფექტიანობა უდავოდ დამოკიდებულია ხმის მიცემის უფლების სამართლიან განხორციელებაზე. საარჩევნო სიების არასათანადო მენეჯმენტი ამცირებს კანდიდატის შანსებს, თანაბრად და სამართლიანად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა (*Georgian Labour Party v. Georgia*, §§ 82-83). საქმეში, სადაც საარჩევნო სიების შედგენის წესი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მოულოდნელად შეიცვალა, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის ახალი სისტემა არ იყო სრულყოფილი, თუმცა მან უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიჩინეს ძალისხმევა, რათა კენჭისყრა უფრო სამართლიანი ყოფილიყო. კერძოდ, საარჩევნო ხელისუფლება იდგა გამოწვევის წინაშე, „პოსტ-რევოლუციურ“ პოლიტიკურ სიტუაციაში, ძალიან მჭიდრო ვადებში გამოესწორებინა საარჩევნო სიებში აშკარა ხარვეზები. შესაბამისად, მოლოდინი იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოები პრობლემის გადაჭრის იდეალურ გზას იპოვიდნენ, მათთვის გადაჭარბებული ტვირთის დაკისრების ტოლფასი იქნებოდა. ამომრჩევლებს უნდა შეემოწმებინათ, იყვნენ თუ არა ისინი რეგისტრირებულები და საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა მოეთხოვათ შესაბამისი ცვლილებები. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო სარგებლობდა შეფასების ფართო ზღვარით (*ibid.*)

## **1. სერიოზული კანდიდატურების გარანტია: თანხის შეტანის მოთხოვნა**

59. რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულია კანდიდატების მიერ გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა, რაც მიზნად ისახავს კანდიდატების გაცხრილვას არასერიოზული/ჩამოუყალიბებელი კანდიდატებისგან. მსგავსი ღონისძიება აძლიერებში არჩევნებში მონაწილე პირების პასუხისმგებლობას და არჩევნებს მხოლოდ სერიოზული კანდიდატებით შემოსაზღვრავს, ამასთან თავიდან ირიდებს სახელმწიფო სახსრების არაგონივრულ ხარჯვას. შესაბამისად, [ეს ღონისძიებები] ემსახურება ეფექტიანი წარმომადგენლობის უფლების უზრუნველყოფის საჯარო მიზანს (*Sukhovetsky v. Ukraine*, §§ 61-62).

60. თუმცა, ზემოხსენებული თანხის ოდენობა პროპორციული უნდა იყოს და უნდა იცავდეს სამართლიან ბალანსს, ერთი მხრივ, არასერიოზული კანდიდატების



შეკავებასა და, მეორე მხრივ, სერიოზული კანდიდატების რეგისტრაციას შორის. ამდენად, სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს ზემოხსენებული თანხის ოდენობას, სახელმწიფოს მიერ გაწეულ საარჩევნო კამპანიას და არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

61. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს პროპორციულობის ტესტი, მოთხოვნილი თანხა არ უნდა მიიჩნეოდეს გადაჭარბებულად; აგრეთვე, არჩევნებში მონაწილეობის მსურველი კანდიდატისთვის ის არ უნდა წარმოადგენდეს გადაულახავ ადმინისტრაციულ ან ფინანსურ ბარიერს. [თანხა] არ უნდა იყოს დაბრკოლება საკმარისად წარმომადგენლობითი პოლიტიკური ღირებულების წარმოქმნისთვის ან პლურალიზმის პრინციპისთვის (*Sukhovetsky v. Ukraine*, §§ 72-73). საარჩევნო თანხის შეტანის მოთხოვნა და დებულებები, რომლებიც ამ თანხისა და/ან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაბრუნებას დამოკიდებულს ხდის პარტიის მიერ მოპოვებულ ხმათა გარკვეულ პროცენტზე, მიზნად ისახავს საკმარისი წარმომადგენლობის ხელშეწყობას და ის გამართლებული და პროპორციულია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით, თუ გავითვალისწინებთ ამ საკითხში სახელმწიფოებისთვის მიკუთვნებულ ფართო მიხედულების ფარგლებს (*Russian Conservative Party of Entrepreneurs and Others v. Russia*, § 94). იმავე მიდგომა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც თანხის დაბრუნება შეუძლებელია (*Sukhovetsky v. Ukraine*).

თუმცა, თანხის დაბრუნების საკითხმა შესაძლოა წარმოშვას განსახილველი საკითხი კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მიხედვით. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Russian Conservative Party of Entrepreneurs and Others v. Russia* სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული პროცედურა, რომლის თანახმად პარტიის სრული სია გაუქმდა გარკვეული კანდიდატების მიერ მიწოდებული არასწორი ინფორმაციის გამო, არღვევდა სამართლებრივი სიცხადის პრინციპს. მომჩივან პარტიას უკვე გადახდილი ჰქონდა საარჩევნო თანხა. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, თანხის დაბრუნებაზე უარი არღვევდა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს.

## **2. პოლიტიკური ლანდშაფტის გადაჭარბებული ფრაგმენტაციის/დანაწევრების თავიდან არიდება**

62. პირობები, რომლებიც ეხება კანდიდატთა სიის წარმოდგენისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობას, არ წარმოადგენს შეფერხებას საკანონმდებლო ორგანოს არჩევნის პროცესში ხალხის აზრის გამოსატყვამი (*Asensio Serqueda v. Spain, Commission decision; Federación nacionalista Canaria v. Spain (dec.); Brito Da Silva Guerra and Sousa Magno v. Portugal (dec.); Mihaela Mihai Neagu v. Romania (dec.)*, § 31).

63. თუმცა, ასეთი ღონისძიებები უნდა ემსახურობდნენ ლეგიტიმურ მიზანს, მაგალითად, როგორცაა კანდიდატების გონივრული შერჩევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმომადგენლობითი ხასიათი და გამოირიცხოს არასათანადო კანდიდატები, და ამ მიზნის მიღწევის პროპორციული იყოს. შესაბამისად, 100,000 ხელმოწერის მოთხოვნა, რაც ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა მოქალაქის 0,55% იყო, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისად ცნეს (ibid.).

64. ანალოგიურად, მოთხოვნა - რომლის მიხედვით ასეთ ხელმოწერას თან უნდა ახლდეს სერთიფიკატები, რომლებიც აჩვენებს, რომ ხელმომწერები რეგისტრირებულები იყვნენ საარჩევნო სიებში, უნდა ემსახურობდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რომ ხელმომწერებს აქვთ ხმის მიცემის უფლება და თითოეული მათგანი მხარს უჭერს მხოლოდ ერთ კანდიდატურად. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იმ კანდიდატისთვის უარის თქმა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ფორმალურ მოთხოვნებს, არ იყო არაპროპორციული (*Brito Da Silva Guerra and Sousa Magno v. Portugal (dec.)*).

65. თუმცა, ხელმოწერების მინიმალური რაოდენობის დაკისრება და მათი გადამოწმება უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობასა და არჩევნების მთლიანობის დაცვას. საქმეში ტაპიროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ საარჩევნო საბჭომ მომჩივნის კანდიდატურა არ დაარეგისტრირა იმ საფუძვლით, რომ მის მიერ წარდგენილი ხელმოწერები არ იყო ნამდვილი. მოცემულ საქმეში დადგინდა, რომ საარჩევნო საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი გარანტიები, რომლებიც ეხებოდა იმ ექსპერტების დანიშვნას, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხელმოწერების ნამდვილობას, არ იყო საკმარისი. გარდა ამისა, მომჩივანს არ მიეცა არგუმენტების წარდგენისა და საბჭოს შეხვედრებზე დასწრების შესაძლებლობა, ამდენად, საბჭოს მომჩივნის არცერთი არგუმენტი არ განუხილავს. შესაბამისად, მომჩივნის კანდიდატურისთვის უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ მის მიერ წარმოდგენილი ხელმოწერები ნამდვილი არ იყო, თვითნებური იყო. უეთოს ანგარიშზე დაყრდნობით, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა ამ ხარვეზის სისტემური ხასიათი და ხაზი გაუსვა იმავე საფუძველზე დაყრდნობით უარყოფილი კანდიდატურების რაოდენობას. სასამართლომ დაასკვნა, რომ მთავრობის ცალმხრივი აღიარება არ იყო საკმარისი ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სასამართლომ არ დაამტკიცა მთავრობის ცალმხრივი აღიარება და განაგრძოს საქმის არსებითი მხარის განხილვა.

66. არჩევნების შედეგების შემდეგ ადგილების განაწილებასთან დაკავშირებით ზემოხსენებული კრიტერიუმის გამოყენება სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად ცნო. საარჩევნო სისტემები ცდილობენ მიაღწიონ დასახულ ამოცანებს, რომლებიც ზოგჯერ ძნელად თუ შეესაბამებიან ერთმანეთს: ერთი მხრივ, სამართლიანად ასახონ ხალხის მოსაზრება და, მეორე მხრივ, წარმოადგინონ უმრავლესობის მოსაზრება, რათა

ხელი შეეწყოს საკმარისად ნათელ და თანმიმდევრულ პოლიტიკურ ნებას. ამრიგად, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ხმას აუცილებლად ჰქონდეს თანაბარი წონა არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით; ის ასევე არ მოითხოვს, რომ ყველა კანდიდატს ჰქონდეს მოგების თანაბარი შანსი და ვერცერთი საარჩევნო სისტემა ვერ გამოირიცხავს „გაფლანგულ ხმებს“ (*Partija "Jaunie Demokrāti" and Partija "Mūsu Zeme" v. Latvia (dec.)*).

67. საარჩევნო ბარიერის შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით და სხვადასხვა სისტემას შესაძლოა განსხვავებული პოლიტიკური მიზანი ჰქონდეს, ზოგჯერ საპირისპიროც კი. ერთი სისტემა შეიძლება კონცენტრირებული იყოს პარლამენტში პარტიების უფრო სამართლიან წარმომადგენლობაზე, როდესაც მეორე [სისტემა] შესაძლოა ახალისებდეს პარლამენტში ერთი მმართველი პარტიის უმრავლესობის ფორმირებას. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, არცერთი ზემოთ მითითებული მიზანი თავისთავად არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო არაგონივრულად. უფრო მეტიც, ბარიერების მიერ შესრულებული როლი განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში პარტიული სისტემის და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ხდება მისი დაწესება. დაბალი ბარიერი გამოირიცხავს მხოლოდ ძალიან მცირე დაჯგუფებებს, რაც ართულებს სტაბილური უმრავლესობის ფორმირებას, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც პარტიული სისტემა ძალიან ფრაგმენტულია მაღალი საარჩევნო ბარიერი ბევრ ამომარჩეველს ჩამოართმევს წარმომადგენლობას. სიტუაციათა ასეთი მრავალფეროვნება ცხადყოფს სავარაუდო ვარიანტების ნაირსახეობას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ვერ შეაფასებს რაიმე კონკრეტულ ბარიერს იმ საარჩევნო სისტემის გათვალისწინების გარეშე, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს (*Yumak and Sadak v. Turkey [GC], §§ 131-132*).

68. მაგალითად, რაც შეეხება ორი ალტერნატიული პირობის შესრულების მოთხოვნას - მოიპოვოს საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების არანაკლებ 30% ან მთელი ელექტორატის მიერ მიცემული ხმების არანაკლებ 6% - სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი სისტემა მცირე პოლიტიკურ ფორმირებებს გარკვეულ დაცვას ანიჭებდა (*Federación nacionalista Canaria v. Spain (dec.)*). ანალოგიურად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხმების 5%-იანი ბარიერი, რომელიც კანდიდატთა სიას უნდა მოეპოვებინა, რათა ისინი არჩეულად მიჩნეულიყვნენ, შეესაბამებოდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს., ვინაიდან ის ხელს უწყობდა საკმარისად წარმომადგენლობითობას და თავიდან ირიდებდა პარლამენტის გადაჭარბებულ ფრაგმენტაციას (*Partija "Jaunie Demokrāti" and Partija "Mūsu Zeme" v. Latvia (dec.)*).

69. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტრაკი და რიხტერი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება)<sup>31</sup> სტრასბურგის სასამართლომ მოიხმო საარჩევნო ბარიერთან

<sup>31</sup> Strack and Richter v. Germany (dec.).

დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი (33 §). დამატებით, სასამართლომ პირველად განიხილა ბარიერის საკითხი 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის აქტიურ ასპექტთან მიმართებით, ვინაიდან საქმე მას ამომრჩევლებმა გადასცეს. მომჩივნები ასაჩივრებდნენ პარტიებისთვის დაწესებულ 5%-იან ბარიერს, რათა მათ შეძლებოდათ მოეთხოვათ ევროპარლამენტში გერმანიისთვის მინიჭებული ერთი ადგილი. 2011 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული სამართლებრივი დებულება ძირითად კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია, თუმცა არ გააუქმა 2009 წლის არჩევნების შედეგები. სტრასბურგის სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ ჩარევა მისაღწევი მიზნის (საპარლამენტო სტაბილურობის შენარჩუნება) პროპორციული იყო, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს საკითხებში სახელმწიფოები შეფასების ფართო ფარგლებით სარგებლობდნენ. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროკავშირმა ცალსახად ნებადართულად მიიჩნია წევრ სახელმწიფოებს განესაზღვრათ საარჩევნო ბარიერები მიღებული ხმების 5%-მდე და წევრი სახელმწიფოების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ ამ ნებართვით ისარგებლა.

70. საქმე *Partei Die Friesen v. Germany* ეხებოდა 5%-იან ბარიერს, რომელიც დაწესებული იყო ქვემო საქსონიის მიწის (Land of Lower Saxony) პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად. მომჩივანი, აღნიშნულ მიწაზე უმცირესობის ინტერესების წარმომადგენელი პოლიტიკური პარტია, ამტკიცებდა, რომ 5%-იანი ბარიერი არღვევდა არჩევნებში დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობის მის უფლებას; ის მოითხოვდა, რომ აღნიშნული წესი მასზე არ გავრცელებულიყო. შესაბამისად, განსახილველ საკითხს წარმოადგენდა საარჩევნო კონტექსტში უმცირესობათა დაცვასთან მიმართებით წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების ფარგლები. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინაც კი, ევროპული კონვენცია განმარტებული რომ ყოფილიყო ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ 1998 წლის ჩარჩო კონვენციით - რომელიც ყურადღებას ამახვილებს საჯარო საქმეებში ეროვნულ უმცირესობების მონაწილეობაზე- კონვენცია არ მოითხოვს ამ კონტექსტში განსხვავებულ მოპყრობას უმცირესობათა სასარგებლოდ. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა არ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

71. ამის საპირისპიროდ, საქმეზე *იუმაკი და სადაკი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]<sup>32</sup> სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ, ზოგადად, 10%-იანი საარჩევნო ბარიერი გადაჭარბებული ჩანდა და დაეთანხმა ევროპის საბჭოს ორგანოებს, რომლებმაც ბარიერის დაწესის რეკომენდაცია გასცეს. ბარიერი აიძულებდა პოლიტიკურ პარტიებს გამოეყენებინათ სქემები, რომლებიც ხელს არ უწყობდნენ საარჩევნო პროცესის გამჭირვალობას. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო, როდესაც შეაფასა სადავო არჩევნების სპეციფიკური პოლიტიკური კონტექსტი, ვერ დარწმუნდა,

<sup>32</sup> Yumak and Sadak v. Turkey [GC].

რომ 10%-იან ბარიერს იმგვარი ეფექტი ჰქონდა, რომ ძირს უთხრიდა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით უზრუნველყოფილი მომჩივნის უფლებების ძირითად არსს.

72. საქმე *ცერნეა რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>33</sup> ეხებოდა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების აკრძალვას იმ პარტიის წევრებისათვის, რომლებიც პარლამენტში არ იყვნენ არჩეულნი. მომჩივანი დავობდა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას იმ პარტიის კანდიდატებთან მიმართებით, რომლებიც უკვე იყვნენ პარლამენტში წარმოდგენილნი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მიზანი იყო პარლამენტის სტრუქტურის შენარჩუნება და პარლამენტში პოლიტიკური ჯგუფების დანაწევრების თავიდან არიდებას შეუძლო გაემართლებინა სადავო შეზღუდვა (§ 49). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მომჩივნის უფლების შეზღუდვა პროპორციული იყო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ შუალედური არჩევნები ჩატარდა პარლამენტში ერთი ადგილისათვის და მომჩივანს შეუძლო წინა არჩევნებში მონაწილეობის მიღება (§§ 50-51).

73. საბოლოოდ, ხმების დათვლის წესში მოულოდნელმა და გაუთვალისწინებელმა ცვლილებამ შესაძლოა დაარღვიოს 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. სტრასბურგის სასამართლომ ამ მუხლის დარღვევა დაადგინა, როდესაც დეპუტატებმა ადგილები დაკარგეს იმის გამო, რომ სპეციალურმა უზენაესმა სასამართლომ მოულოდნელად გადაუხვია ხმების დათვლასთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკას. კერძოდ, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ არჩევნების შემდეგ სასამართლო პრაქტიკის ცვლილებამ, შეცვალა ცარიელი საარჩევნო ბიულეტენის მნიშვნელობა და წონა, რამაც განაპირობა ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო ყუთებთან გამონახული ნების ცვლილება (*Paschalidis, Koutmeridis and Zaharakis v. Greece*).

#### IV. არჩევნების შედეგების დამუშავება

95. წინასაარჩევნო პერიოდის, მათ შორის ხმათა რაოდენობის დათვლის, დარეგისტრირების და შედეგების გადაცემის საკითხი განხილული იქნა საქმეში - *დავიდოვი რუსეთის წინააღმდეგ*<sup>34</sup> რომელიც ეხებოდა სადავო ანომალიებს ფედერალურ საკანონმდებლო და მუნიციპალურ არჩევნებში. მომჩივნები სხვადასხვა მოცულობით მონაწილეობდნენ ამ არჩევნებში: ისინი ყველა რეგისტრირებულნი იყვნენ საარჩევნო სიებში, ხოლო ზოგიერთი მონაწილეობდა კიდევ საარჩევნო ასამბლეაში (ასე რომ საქმე ეხებოდა თავისუფალი არჩევნების უფლების როგორც

<sup>33</sup> *Cernea v. Romania*.

<sup>34</sup> *Davydov and Others v. Russia*

აქტიურ ასევე პასიურ ასპექტებს), ხოლო სხვები იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები ან დამკვირვებლები.

96. ვენეციის კომისიის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ წინასაარჩევნო პერიოდს თან უნდა ახლდეს ზუსტი პროცედურული გარანტიები; პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და ღია, და დაშვებული უნდა იყოს ყველა პარტიის დამკვირვებელი, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლები. თუმცა, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ შექმნილა როგორც საარჩევნო საკითხებზე კოდექსი რათა დაერეგულირებინა საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო, მოცემულ საქმეს, განიხილავს მხოლოდ თავისუფალი არჩევნების უფლების კუთხით. მეტად მკაცრი შემოწმება უნდა განხორციელდეს საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპიდან ნებისმიერი გადახვევის დროს, თუმცა სახელმწიფოებს უნდა მიენიჭოთ მეტად ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები როდესაც ეს ზომები ხელს უშლიდა კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ნაკლებად მკაცრი შემოწმება ხორციელდება ხმების დათვლის და კლასიფიკაციის ტექნიკურ ეტაპზე. ტექნიკური ეტაპის ცალკეული შეცდომა ან ნორმიდან გადახრა, თავისთავად, არ გამოხატავს უსამართლო არჩევნებს, თუ საარჩევნო ადმინისტრაციის თანასწორობის, გამჭვირვალეობის, მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპები იქნება დაცული. თავისუფალი არჩევნების ცნება რისკის ქვეშ დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (i) დამტკიცდება პროცედურული დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ ხალხის აზრის გამოხატვის თავისუფლებას, მაგალითად ამომრჩეველთა ხმების გაყალბების გზით; და (ii) როდესაც ეროვნულ დონეზე არ ხდება ასეთი საჩივრების ეფექტური გამოკვლევა (მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო დაუშვებდა გონივრულ შეზღუდვებს ინდივიდუალური ამომრჩევლების შესაძლებლობის თაობაზე გაასაჩივრონ შედეგები, მაგალითად, ამომრჩეველთა კვორუმი) (§§ 283-288).

97. მოცემულ საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა, შემდეგი მიზეზების გამო: როგორც ეროვნულ ხელისუფლების ასევე, სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, მომჩივნებმა წარადგინეს სადავო სარჩელი იმის შესახებ, რომ არჩევნების სამართლიანობა სერიოზულად დაზარალდა ხმათა რაოდენობის ხელახალი დათვლით (§§ 310-311). ამგვარმა დარღვევებმა შესაძლოა მკვეთრად დაამახინჯოს ამომრჩეველთა ნება ყველა შესაბამი საარჩევნო უბანში. თუმცა, მომჩინების სარჩელი არ შეეხებოდა ხმების ხელახალი დათვლის პროცესს, რომელიც ეფექტურად გამოიკვლია ეროვნულმა ხელისუფლებამ, კერძოდ საარჩევნო კომისიებმა, პროკურატურამ, საგამოძიებო კომისიამ ან სასამართლოებმა (§§ 336-337).

## V. საარჩევნო დავები

98. არჩევნებთან დაკავშირებით მრავალი დავა არსებობს. თუმცა, ეს საკითხი ვერ იქნება განხილული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული დებულება ამ შემთხვევაში არ იყო გამოყენებადი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის უფლება - მონაწილეობა მიედო საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის არჩევნებში, იყო არა „სამოქალაქო“ (კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში), არამედ პოლიტიკური ხასიათის (*Pierre-Bloch v. France*, § 50). არც კონვენციის მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტი არ ვრცელდება საარჩევნო წესების შეუსრულებლობის გამო სანქციის დაკისრებაზე (*ibid.* § 61). საქმეში *Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia*, მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაცია საპარლამენტო არჩევნების დროს დამკვირვებელი იყო. შემდგომში ეროვნულ დონეზე მიმდინარეობდა დავა იმის გამო, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციას არ გადასცა სხვადასხვა დოკუმენტი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების შედეგი არასამთავრობო ორგანიზაციის სამოქალაქო უფლებებისთვის არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და, შესაბამისად, ის არ ხვდებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში.

99. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში, საარჩევნო პროცესის კონტექსტში ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ნაკლებობა განხილულ იქნა კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩევნო საკითხებთან მიმართებით მხოლოდ ის საშუალებები მიიჩნევა ეფექტიანად, რომლებსაც შეუძლია დემოკრატიული პროცესის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა (*Petkov and Others v. Bulgaria*). საქმეში *პეტკოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*<sup>35</sup> მომჩივანთა სახელები ამოირიცხა კანდიდატთა სიიდან არჩევნებამდე მხოლოდ ათი დღით ადრე, იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა არჩევნებამდე სამი თვით ადრე. მოგვიანებით მომჩივანთა სიიდან ამორიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა ვინაიდან მომჩივნები არ აღადგინეს კანდიდატებად, მათ ვერ შეძლეს არჩევნებში კენჭისყრა. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არჩევნების კონტექსტში სამართლებრივი დაცვის საშუალება ითვალისწინებდა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ის ვერ მიიჩნეოდა ეფექტიანად კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად. გადაწყვეტილებაში საქმეზე *გროსარუ რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>36</sup>, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა, რომელმაც საკანონმდებლო არჩევნებში წარუმატებლად იყარა კენჭი, ვერ მოიპოვა სადავო საარჩევნო კანონმდებლობის განმარტების შეფასება სასამართლოს მიერ. მოცემულ

<sup>35</sup> Petkov and Others v. Bulgaria.

<sup>36</sup> Grosaru v. Romania.

საქმეში დადგინდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე აღნიშნული მუხლების დარღვევა დაადგინა საქმეზე *ჰუნოვიჩი და მილივოჟევიჩი სერბეთის წინააღმდეგ*<sup>37</sup>, რომელიც ეხებოდა პარლამენტის წევრის თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების გასაჩივრების ეფექტური შესაძლებლობის არარსებობას (§§ 68-72).

100. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა ეროვნულ სისტემაში საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჩივრების ეფექტური განხილვის არსებობა. მსგავსი სისტემა უზრუნველყოფს ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების ეფექტურ განხორციელებას, აგრეთვე ინარჩუნებს ნდობას სახელმწიფოს მიერ საარჩევნო პროცესის ადმინისტრაციის მიმართ და წარმოადგენს სახელმწიფოს ხელთ არსებულ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რათა შეასრულოს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, რაც გულისხმობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას (*Uspaskich v. Lithuania*, § 93).

101. სადაც არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება, ნებისმიერი ხარვეზი შეიძლება წარდგენილ იქნეს სტრასბურგის სასამართლოს წინაშე კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად. მსავსი ხარვეზები შეიძლება წარმოადგენდეს ამ მუხლის დარღვევას, როდესაც ეჭვქვეშ დგება საარჩევნო პროცესის მთლიანობა. არჩევნების შედეგთან დაკავშირებულ დავას თან უნდა ახლდეს გარკვეული მინიმალური გარანტიები თვითნებობის წინააღმდეგ (*Davydov and Others v. Russia*, § 288). კერძოდ, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ ორგანომ, რომელიც უზრუნველყოფს მიუკერძოებლობის მინიმალურ გარანტიებს. ანალოგიურად, აღნიშნული ორგანოს დისკრეცია არ უნდა იყოს გადაჭარბებულად ფართო: ის ეროვნული კანონმდებლობის დებულების მიხედვით საკმარისი სიზუსტით უნდა იყოს შეზღუდული. საბოლოოდ, პროცედურა ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს სამართლიანი, ობიექტური და საკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილება და, აგრეთვე, თავიდან აირიდოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (*Podkolzina v. Latvia*, § 35; *Kovach v. Ukraine*, §§ 54-55; *Kerimova v. Azerbaijan*, §§ 44-45; *Riza and Others v. Bulgaria*, § 144). სტრასბურგის სასამართლო, როდესაც იხილავს მსგავს საკითხს, შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, ეროვნული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო თუ არა თვითნებური ან ამკარად დაუსაბუთებელი (*ibid.*, § 144; *Kerimli and Alibeyli v. Azerbaijan*, §§ 38-42; *Davydov and Others v. Russia*, § 288).

102. არჩევნების ბათილად ცნობის გადაწყვეტილება უნდა ასახავდეს, რომ შეუძლებელი იყო ამომრჩეველთა ნების დადგენა (*Kovach v. Ukraine*).

<sup>37</sup> Paunović and Milivojević v. Serbia.



გადაწყვეტილებაში საქმეზე *კერიმოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ*<sup>38</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ არჩევნების გაყალბება, ორი ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, საკმარისი არ აღმოჩნდა არჩევნების საბოლოო შედეგების შესაცვლელად, რომელშიც მომჩივანმა წარმატებას მიაღწია. თუმცა, ეროვნულმა ხელისუფლებამ გააუქმა არჩევნების შედეგები ეროვნული საარჩევნო სამართლის დარღვევით და გაყალბების უმნიშვნელო შედეგების გათვალისწინების გარეშე. ამით, ხელისუფლება დაეხმარა ზემოხსენებულ პირებს არჩევნებისთვის ხელის შეშლაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არღვევდა მომჩივნის საარჩევნო უფლებებს, რადგან ის ვეღარ იქნებოდა პარლამენტის წევრი. გადაწყვეტილება აგრეთვე იჩენდა უყურადღებობას საარჩევნო პროცესის მთლიანობისა და ეფექტიანობისადმი, რაც ვერ მიიჩნეოდა თავისუფალი არჩევნების უფლების სულისკვეთების შესაბამისად. სასამართლოების როლი არ არის ხალხის არჩევანის შეცვლა. ამრიგად, ორ საქმეში (*I.Z. v. Greece, Commission decision; and Babenko v. Ukraine (dec.)*) კონვენციურმა ორგანოებმა შეისწავლა წარუმატებელი კანდიდატების მიერ შეტანილი საჩივრები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საარჩევნო პროცესი არასამართლიანი იყო, თუმცა სასამართლომ აღნიშნული საჩივრები არ დააკმაყოფილა, ვინაიდან არჩევნების შედეგთან მიმართებით არ იკვეთებოდა რეალური ზიანი. საქმეში *რიზა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*<sup>39</sup> გაუქმდა 23 საარჩევნო უბნის შედეგები სავარაუდო ხარვეზების გამო, რის შედეგადაც პარლამენტის წევრმა ადგილი დაკარგა. სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა როგორც 101 ამომრჩევლის ხმის უფლებაში, აგრეთვე პარლამენტის წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლებაში ჩარევა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ რამდენიმე საარჩევნო უბანზე არჩევნების გაუქმების მიზეზად მითითებული იყო მხოლოდ ფორმალური საფუძვლები. გარდა ამისა, ის გარემოებები, რომლებსაც სასამართლო თავისი გადაწყვეტილების გასამყარებლად დაეყრდნო, ეროვნულ კანონმდებლობაში არ იყო მოცემული საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი ფორმით, აგრეთვე არ იყო ნაჩვენები ის, რომ მას შეეძლო ამომრჩეველთა არჩევანის შეცვლა ან არჩევნების შედეგების დამახინჯება. ამასთანავე, საარჩევნო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ახალი არჩევნების ორგანიზების შესაძლებლობას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც გაუქმდა ბიულეტენები, რაც ეწინააღმდეგებოდა ვენეციის კომისიის კოდექსს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის შესახებ. ახალი არჩევნების ჩატარება შესაბამებოდა არჩევნების შედეგების გაუქმების ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, საარჩევნო პროცესის კანონიერების დაცვას. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. ამრიგად, ბიულეტენების გაუქმების გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს იმ გარემოებას, რომ რეალურად შეუძლებელია ამომრჩეველთა ნების დადგენა.

<sup>38</sup> Kerimova v. Azerbaijan.

<sup>39</sup> Riza and Others v. Bulgaria.

103. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული პირთა საჩივრების ეფექტიანი განხილვა. სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა უზრუნველყონ საარჩევნო დავებზე ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებების საკმარისი დასაბუთება.

104. სტრასბურგის სასამართლომ, აღნიშნა რა სადავო საჩივრების არსებობა ხმების დათვლის პროცესში სერიოზულ საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით, დაადგინა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება თვითნებობის წინააღმდეგ საკმარის გარანტიებს უნდა უზრუნველყოფდეს. თუ ვერ იქნება უზრუნველყოფილი მსგავსი საჩივრების ეფექტიანი განხილვა, ამან შეიძლება გამოიწვიოს 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა (*Davydov and Others v. Russia*, §§ 288 and 335). ამ საქმეში, არცერთმა ორგანომ -არც საარჩევნო კომისიამ, არც პროკურატურამ, არც სასამართლოებმა- სათანადოდ არ გამოიკვლიეს ის მიზეზები, რაც საფუძვლად ედო მომჩივანთა საჩივრებს.

105. სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო ვენეციის კომისიის კოდექსს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის შესახებ და დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ წარმოადგინა ზედმეტად ფორმალური მიზეზები, რათა არ განეხილა საარჩევნო საჩივრების არსებითი მხარე. იმ ფაქტს, რომ კანდიდატებისთვის მიცემულ ხმებს შორის დიდი სხვაობა იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, როდესაც საქმე ეხებოდა, დამოუკიდებლად, დარღვევების მოცულობის დადგენას, მანამ სანამ განისაზღვრებოდა [ამ დარღვევების] გავლენა არჩევნების საერთო შედეგზე (*Namat Aliyev v. Azerbaijan*).